

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

თბილისი, ივნისი, 2016

№20

ახალი ამბები
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ქართული სიმღერის მოამაგეები
ჯოკია მეშველიანი

ქეთევან ნაგერვაძის გახსენება

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ჯგუფი „ნიაგი“ აშშ-დან

ახალი ქართული ფოლკლორული ანსამბლი
„ოდაბაღე“

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი
საოჯახო დუეტი კანადიდან

ქართველი ეთნომუსიკოლოგები
თამარ მამალაძე

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
ინტერვიუ ზოე პერესთან

ერთი ქართული ტელეპროექტის შესახებ
„ეთნოფორი“

ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ
სალამური

ადღეობის დღესასწაულთან დაკავშირებული
ტრადიციები და მუსიკა საქართველოში

სიმღერა „ჭონა“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2016)

ფესტივალები, კონფერენციები, სემინარები

24.01.2016 – ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გაიმართა ფესტივალი სახელწოდებით Кре-щенские вечера, რომლის ფარგლებში ანსამბლმა „ბასიანმა“ სოლო კონცერტი გამართა.

23.02.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულებამ ჩაატარა ექვთიმე აღმსარებლის სახელობის სამეცნიერო სემინარი თემაზე: „ზაქარია ჩხიკვაძე და ქართული საეკლესიო გალობა“. სტუმრად მოწვეული იყო ეთნოლოგი ნინო დამბაშიძე.

15.04-15.05.2016 – საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების II ეროვნული კონკურსი.

15-16.04.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა ჩაატარა მეთოდური კონფერენცია თემაზე: „სამუსიკო დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგია“.

10-15.05.2016 – პოლონეთში გაიმართა საეკლესიო მუსიკის 35-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველ ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ფერხისა“ (ხელ-ლი ნ. დათუაშვილი).

13.05.2016 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა სასწავლებლისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საეკლესიო და თე-

ორიული მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები“.

15.05.2016 – ჯანსუღ კახიძის სახელობის II საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ფოლკლორული კონცერტი სახელწოდებით „ჯაზი და ქართული პოლიფონია“ თბილისური ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

11.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში გაიმართა მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სასულიერო მუსიკის კონფერენცია თემაზე: „თეორიული და საეკლესიო მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები“ და სასულიერო მუსიკის კონცერტი.

21.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულებამ ჩაატარა ექვთიმე აღმსარებლის სახელობის სამეცნიერო სემინარი თემაზე: „ქართული ხელნაწერი“, რომლის სტუმარი იყო ფილოლოგიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი მიხეილ ქავთარია.

24.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ ჩაატარა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა რესპუბლიკური კონფერენცია და ფოლკლორული კონცერტი თბილისური და რეგიონული ანსამბლების მონაწილეობით.

28-29.05.2016 – ქალაქ ვილნიუსში (ლიტვა) მოეწყო „აჭარის კულტურის დღეები“, რომლის ფარგლებში ბათუმის მომდერადმგალობელთა გუნდმა „ფერიცვალება“ და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მწვერვალი“ სოლო კონცერტი გამართა. მოეწყო ქართული სამზარეულოს კულინარიული მასტერკლასიც. ანალოგიური ღონისძიებები გაიმართა ქალაქებში: ასტანაში, თელავში, მინსკსა და ვარშავაში.

6.06.2016 – ქალაქ ბათუმში გაიხსნა ფესტივალი „ჭით-ბათუმი 2016“. მის ფარგლებში ეწყობა ფოლკლორული დღეები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ფოლკლორული ანსამბლები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლექციები, შეხვედრები, პრეზენტაციები და სხვ.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში პროექტ „ეთნომუსიკოლოგიური შეხვედრების“ ფარგლებში გაიმართა:

11.03.2016 – ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, თამაზ გაბისონიას ლექცია თემაზე: „ავთენტურობის პრობლემა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში“;

14.04.2016 – გურულ მომღერალთა ცნობილი გვარის – ხუხუნაიშვილების სასიმღერო ტრადიციებისადმი მიძღვნილი საღამო;

6.05.2016 – ეთნომუსიკოლოგ ნანა ვალიშვილის ლექცია თემაზე: „ხევის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები და დღევანდელი“;

10.06.2016 – ეთნომუსიკოლოგ გია ბაღაშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „ფოლკლორი დროში და დრო ფოლკლორში“.

20.03.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია არტემ ერქომაიშვილის უნიკალური აუდიო ჩანაწერების ალბომისა „მარტოდტქმული მარგალიტები“.

14.04.2016 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ილიას უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო კალანდაძის საჯარო ლექცია თემაზე: „ნანებისა და იავნანების შესახებ ქართველ ქალთა ფოლკლორში“.

15.04.2016 – თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა ანსამბლ „ბასიანის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია და სოლო კონცერტი.

16-18.05.2016 – ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში გაიმართა ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის, ლანჩხუთის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის ერთობლივი გამოფენა „ხასანბეგურა“.

19.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა დ. შულღიაშვილისა და თ. ჩხეიძის წიგნის „სამგალობლო ტერმინთა ლექსიკონის“ პრეზენტაცია.

12.06.2016 – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ქალთა ფოლკლორული ანსამბლ „ნანინას“ საკონცერტო აუდიოალბომის პრეზენტაცია და კონცერტი სახელწოდებით „ნანინას დიდი ოჯახი“.

ექსპედიციები

23-30.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტმა, გიორგი კრავეიშვილმა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია კლარჯეთში, კერძოდ, ბორჩხის რაიონის სოფლებში: არხვა, ტრაპენი, დამფალი, ავანა, ჯვანი, დევსქელი, ბაგინი; ასევე, ქალაქ მურდულში, მურდულის რაიონის სოფელ ერეგუნაში და ართვინის რაიონის სოფელ ომანაში.

გასტროლები, მასტერ-კლასები

23.02-15.03.2016 – ანჩისხატის გუნდი საგასტროლოდ იმყოფებოდა აშშ-ში, სადაც ჩაატარა სოლო კონცერტები, მასტერ-კლასები და ლექცია-დემონსტრაციები აიოვას, ილინოისის, ჩიკაგოს, იელის, კოლუმბიის უნივერსიტეტებში, ბოსტონის კონსერვატორიაში, ბარდის კოლეჯში.

4-11.04.2016 – ანსამბლი „დიდგორი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა საფრანგეთში, ბრეტანისა და ნორმანდიის მხარეში, სადაც გამართეს სოლო კონცერტები. გარდა ამისა, ბოველის ტრადიციული სიმღერის 21-ე ფესტივალის ფარგლებში ჩაატარეს მასტერკლასები, ლექციები და კონცერტი.

16-19.04.2016 – ანსამბლ „დიდგორის“ მცირე შემადგენლობა იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში (ქ. ლონდონში), სადაც მონაწილეობა მიიღო „ახალი ღვინის ფესტივალში“.

18-25.04.2016 – ანჩისხატის გუნდის 4 წევრი საგასტროლოდ იმყოფებოდა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში.

18-24.04.2016 – ანსამბლი „სახიობა“ იმყოფებოდა საგასტროლოდ პოლონეთში.

8-9.05.2016 – ანსამბლმა „იალონმა“ მოაწყო ტურნე ქალაქ ქუთაისში, სადაც ჩაატარა სოლო კონცერტი და მასტერკლასი ადგილობრივ ფოლკლორულ და სამგალობლო გუნდებთან.

9-13.05.2016 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ჩატარდა ესპანელი ეთნომუსიკოლოგის, პედაგოგისა და კომპოზიტორის, პოლო ვალეჰოს მასტერკლასები საქართველოს სალოტბარო სკოლების პედაგოგებისათვის.

14-15.05.2016 – საქართველოს ორფის ასოციაცია *ჯეორფმა* თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოაწყო ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიის მუსიკალური განათლების დეპარტამენტის ლექტორის, სოილი პერკოსა და ესპანელი ეთნომუსიკოლოგის, პოლო ვალეჰოს მასტერკლასები თემაზე: „პედაგოგიკა და შემოქმედებითი მუსიკალური განათლება“.

22-28.05.2016 – ანჩისხატის გუნდი საგასტროლოდ იმყოფებოდა უზბეკეთში, ქალაქ ტაშკენტში, სადაც მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნის ცერემონიაში და საქართველოს საელჩოში მოწყობილ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო მიღებაში.

23-31.05.2016 – ანსამბლმა „შავნაბადა“ მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ ლაიპციგში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „A Capella“ და ჩაატარა კონცერტები ბერლინში, იენასა და ლაიპციგში.

26-28.05.2016 – ანსამბლ „ერთობის“ მცირე შემადგენლობა იმყოფებოდა აზერბაიჯანში (ქ. ბაქოში), სადაც გამართა სოლო კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

8-13.06.2016 – ანსამბლი „იალონი“ იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ ხმელნიცკში, სადაც მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულ ფესტივალში.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „**რუსთავი**“ საგასტროლოდ იმყოფებოდა:


8-16.03.2016 – უკრაინაში, სადაც გამართა ერთობლივი კონცერტები პაველ ვირსკის სახელობის უკრაინელ მოცეკვავეთა ანსამბლთან ერთად.

2-4.06.2016 – უელსში (დიდი ბრიტანეთი) ვოის კარდიფის მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც ჩაატარა ვორქ-შოფი და კონცერტი უელსის მომღერალთა გუნდთან ერთად.


7.06.2016 – ვილნიუსში (ლიტვა) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე.

გამოცემები


ანსამბლმა „სახიობამ“ 10 წლის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა CD და DVD ალბომების გამოცემა.




ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანი-ნამ“ გამოსცა სოლო კონცერტის აუდიო-ალბომი.



ანსამბლმა „ერთობა“ გამოსცა პირველი აუდიოალბომი.




აუდიოჩანაწერების ალბომი „მარტოდოქმული მარგალიტები“, რომელშიც შესულია 37 საგალობელი.



ანსამბლმა „ბასიანმა“ გამოსცა ორი კომპაქტდისკისგან შემდგარი, რიგით მეათე აუდიოალბომი.



რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში გამოიცა დ. შუღლიაშვილისა და თ. ჩხეიძის ელექტრონული წიგნი „სამგალობლო ტერმინთა ლექსიკონი“.



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინიციატივითა და საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობის“ მხარდაჭერით გამოიცა არტემ ერქომაიშვილის უნიკალური

საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა წიგნი „გალობანი სინანულისანი, თქმულნი დავით მეფისანი“ (შემდგენელი, წინასიტყვაობისა და ტექსტების ნეგმირების ავტორი და მუსიკალური რედაქტორი ზაალ წერეთელი).



კონცერტები და საღამოები

20.01.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ორგანიზებით მცირე დარბაზში გაიმართა საშობაო სიმღერა-გალობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელ-სიმღერალებმა თბილისურმა ჯგუფებმა.

7.02.2016 – ანსამბლმა „იალონმა“ გამართა სოლო კონცერტი ბარში „ზოესთან“.

11.03.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ტმკსც-ის მიერ ორგანიზებული მსოფლიოს ხალხთა მუსიკის კონცერტი ანსამბლ „ნორთერნ ჰარმონისა“ (აშშ) და ანსამბლ „დიდგორის“ მონაწილეობით.

30.03.2016 – ფესტივალ ფან-Art-ის ფარგლებში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის კინოდარბაზში მოეწყო ფოლკლორული საღამო.

3.04.2016 – ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“ გამართა სოლო კონცერტი ბარში „ზოესთან“.

15.04.2016 – ანსამბლმა „ბასიანმა“ გამართა სოლო კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში.

16.04.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ლენტეხის რაიონის ჩოლურის თემის ანსამბლ „მიუე ნარის“ სოლო კონცერტი.

17.04.2016 – ანსამბლმა „იალონმა“ გამართა სოლო კონცერტი ბარში „ზოესთან“.

6.05.2016 – ანსამბლმა „სახიობამ“ ჩაატარა სოლო კონცერტი ბოლნისის რაიონის კულტურის ცენტრში.

13.05.2016 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „სახიობას“ სოლო კონცერტი, რომელიც ანსამბლის 10 წლისთავის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

17.05.2016 – ანსამბლმა „იალონმა“ ჩაატარა ერთობლივი კონცერტი ჰოლანდიის გუნდ „ოქტოხთან“ ერთად ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში.

21.05.2016 – მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ღამე მუზეუმში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „ამერ-იმერი“, „ნანინა“, „მჭკელი“, „აკრიანი“, „ერთობა“.

22.05.2016 – ანსამბლმა „ადილეიმ“ გამართა სოლო კონცერტი ბარში „ზოესთან“.

1.06.2016 – ქალაქ წყალტუბოში ჩატარდა „სტუდენტური დღეები-2016“-ის ხალხური სიმღერების ფინალური ტური, რომლის გამარჯვებული გახდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა გაერთიანებული გუნდი.

3.06.2016 – საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ უმასპინძლა ტრადიციული მუსიკის საღამოს „იელის უნივერსიტეტის გოგონათა გუნდი და მეგობრები“.

5.06.2016 – ქალაქ ხაშურში ჩატარდა ანსამბლების – „იალონისა“ და „აღსავალის“ ერთობლივი კონცერტი.

8.06.2016 – რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“

გამართა დაჯილდოების ცერემონიალი „გაუზიარე თაობებს“, რომელზეც დააჯილდოვა ქართული ტრადიციული მუსიკის ღვაწლმოსილი მოამაგეები, ასევე, მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები.

25.06.2016 – ანსამბლმა „იალონმა“ გამართა სოლო კონცერტი ქალაქ ზუგდიდში.

27-29.06.2016 – რუსთაველის თეატრში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი ტური და დაჯილდოების ცერემონიალი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ იხ. www.folk.gov.ge.

მოამზადა მაკა ხარძიანმა

ქართული სიმღერის მოამაგეები

**ჯოკია მეშველიანი
(1929-1994)**



ანსამბლი „ლილე“ ჯოკია მეშველიანის ხელმძღვანელობით

ჯოკია მეშველიანი 1929 წელს, ლენტეხში დაიბადა. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კარგი მუსიკალური მონაცემებით და მღეროდა კულტურის სახლ-

თან არსებულ ანსამბლში, რომელსაც მისი უფროსი ძმა – გრიგოლ მეშველიანი ხელმძღვანელობდა.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1947-1953წწ.) ჯოკია მეშველიანი, როგორც მომღერალი და ჭუნირზე დამკვრელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის ანსამბლის საკონცერტო ცხოვრებაში. ანსამბლს ცნობილი ლოტბარები ხელმძღვანელობდნენ: ნოკო ხურციას ჯოკიასთვის სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ჩონგურზე დაკვრა უსწავლებია, ივანე მჭედლიშვილმა ქართლ-კახური სიმღერების მადლს აზიარა, აკაკი ქარსელაძემ სალოტბარო ტექნიკა და გუნდის ორგანიზატორული მხარეები შეასწავლა და უდიდესი როლი ითამაშა მისი, როგორც ლოტბარის ჩამოყალიბებაში. სვანური სიმღერები ჯოკიას ლენტეხის მომღერალთა გუნდის შემქმნელებისგან – ილია ფილფანისა და იოსებ მუკბანიანისგან ჰქონდა შესწავლილი.

1953 წლიდან, მშობლიურ რაიონში დაბრუნების შემდეგ, ჯოკია მეშველიანი მთავარ აგრონომად დაიწყო მუშაობა. სამსახურეობრივი მივლინებების დროს მას გასვლა უწევდა შორეული სოფლებში, სადაც ხვდებოდა ხანდაზმულ ადამიანებს, მათგან სწავლობდა უცნობ, უძველეს სიმღერებს, იწერდა სარიტუალო წეს-ჩვეულებებს, ფერხულებს, ერთი სიტყვით, შემკრებლობით მუშაობას ეწეოდა. ამ საქმიანობამ მომავალ ლოტბარს დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა. ამიტომ, როდესაც ლენტეხის რაიონის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლის ხელმძღვანელობა დაავალეს – იმ ანსამბლისა, რომელშიც თავად მღეროდა ბავშვობაში, – ამ ცოდნით შეიარაღებული 25 წლის ახალგაზრდა თამამად შეუდგა მუშაობას.

თავდაპირველად, მან ანსამბლის შემადგენლობა 75 კაცამდე გაზარდა, შემდეგ მოცეკვავეთა ჯგუფიც დაუმატა – მონაწილეთა რაოდენობამ 110-ს მიაღწია. ასე ჩაეყარა საფუძველი ლენტეხის რაიონ-

ნის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელსაც შემდგომში „ლილე“ დაერქვა.

მომდევნო 40 წლის მანძილზე – 1954-1994 წლებში – ჯოკია მეშველიანი სათავეში ედგა „ლილეს“, როგორც ორგანიზატორი და ლოტბარი. მან გაამდიდრა ანსამბლის რეპერტუარი ახალი სიმღერებითა და ცეკვებით და, რაც მთავარია, ახალ სიმაღლეზე აიყვანა მისი საშემსრულებლო ხელოვნება. „ლილე“ სისტემატურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო მნიშვნელობის კონკურსებსა და ოლიმპიადებში და მშობლიურ რაიონში ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა.

ჯოკია მეშველიანი გამუდმებით ზრუნავდა ანსამბლის რეპერტუარის შევსებაზე. მან დიდი მუშაობა ჩაატარა მივიწეებული სვანური ფერხულების გადასარჩენად და 30-ზე მეტის აღდგენა შეძლო: „მგზავრული“ ფერხულითა და ცერულით, „ლაგუშედა“ ფერხულით, „როსტომ ჭაბიკ“ ფერხულით, „დალა კოჟას“ უცნობი ვარიანტი. . . გარდა ამისა, – „ადრეკილა“, „ყანსავ ყიფიანე“, „თამარ დედფალ“, რომლებსაც შემდგომ მოენახათ ფერხულები. მის მიერ აღდგენილი და დაკარგვას გადაარჩენილია 26-ზე მეტი უძველესი სვანური სიმღერის სხვადასხვა ვარიანტი.

ჯოკია მეშველიანის გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები თავისებურ სანახაობას წარმოადგენდა, რადგანაც ფერხულით სრულდებოდა და გარკვეულ შინაარსობრივ დატვირთვასთან იყო დაკავშირებული. მის მიერ შექმნილმა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა კომპოზიციებმა – „ფიცი და გამარჯვება“, „ხეიმი მთაში“ და „წინაპართა ნატერფალზე“ – დიდი აღიარება მოიპოვა.

1962 წელს საქართველოს რადიომ „ლილეს“ შესრულებით 11 სვანური სიმღერა ჩაიწერა, მათ შორის „ადრეკილა“, „ცანაშ დაშდულ“, „ხარი“, „კვირია“ და სხვ. ეს ნიმუშები დღესაც დაცულია რადიოს „ოქროს ფონდში“.

ჯოკია მეშველიანი ნაყოფიერად მუშაობდა ბავშვებთანაც: 1961 წლიდან იგი ლენტეხის საშუალო სკოლის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდა მომღერლებს თავად ზრდიდა: სკოლის გუნდში მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებს არჩევდა, სხვადასხვა საკრავზე დაკვრას, სიმღერასა და ცეკვას ასწავლიდა, საუკეთესოები კი დიდ ანსამბლში გადაჰყავდა.

1968 წლიდან ჯოკია მეშველიანი რაიონის კულტურის განყოფილების გამგეა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ლენტეხში არა მარტო მუსიკალური, არამედ, თეატრალური ხელოვნების აღორძინებაში: 1976 წელს, მისი ინიციატივით, ლენტეხში სახალხო თეატრი დაარსდა. ჯოკია რაიონში ფოლკლორის სკოლის გახსნაზეც ოცნებობდა. თუმცა, მის მთავარ საზრუნავს მაინც ანსამბლი „ლილე“ წარმოადგენდა.

1978 წელს „ლილეს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

1980 წელს მოეწყო „ლილეს“ პირველი გასტროლი საზღვარგარეთ – ბულგარეთსა და რუმინეთში. იმავე პერიოდში საქართველოს ტელევიზიის სტუდიამ ანსამბლ „ლილეზე“ 40-წუთიანი ფილმი-კონცერტი გადაიღო, გამოიცა ორი ფირფიტა-გიგანტი 25 სვანური სიმღერით. ანსამბლის რეპერტუარი 30-ზე მეტი ფერხულის სხვადასხვა ვარიანტს და 80-მდე სიმღერას ითვლიდა.

ჯოკია მეშველიანი კომპოზიტორულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ავტორია სიმღერებისა: „ძველი და ახალი სვანეთი“, „სიმღერა უშბაზე“, „სიმღერა იაროსლავ იოსელიანზე“, „სიმღერა ლენტეხზე“ და ა. შ.

ჯოკია მეშველიანი საგუნდო საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო; შესანიშნავად იცნობდა ხალხური სიმღერის შინაგან ბუნებას, ზედმიწევნით იცოდა ხალხური სიმღერის შესრულების ტრადიცია. მან თითქმის შეუძლებელს მიაღწია: დიდ სახალხო ანსამბლს ავთენტიკური ჟღერადობა შეუნარჩუნა. ეს საკმაოდ

რთული იყო – სასცენო პროფესიონალიზმი ხალხური სიმღერის კუთხური მრავალფეროვნების ნიველირებას ითხოვდა. ჯოკია მეშველიანი, პირიქით, სვანური სიმღერის ორიგინალობასა და სპეციფიკურ უღერადობას იცავდა. მას სწამდა, რომ სვანური სიმღერა სვანს უნდა ემღერა, თანაც სვანეთში გაზრდილსა და მცხოვრებს. ცნობილია, რომ მან ანსამბლში არ მიიღო თბილისიდან ჩასული სვანი მომღერალი: ქალაქში ნამღერ კაცს ანსამბლში ვერ გავაჩერებო. ჯოკია მართებულად თვლიდა, რომ სვანურ სიმღერას დაუხვეწავი ხმის ტემბრი სჭირდებოდა, რაც ქალაქური ანსამბლის მომღერალს უკვე დაკარგული ჰქონდა.

1987 წელს ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ანსამბლ „ლილეს“ ხელმძღვანელს, ჯოკია მეშველიანს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ჯოკია მეშველიანის აქტიური მოღვაწეობის შედეგია, რომ „ლილეს“ წარმატებით შთაგონებულმა ფოლკლორის მოყვარულებმა ლენტეხში ეთნოგრაფიული ანსამბლები და ხალხურ საკრავთა ორკესტრიც კი ჩამოაყალიბეს. მისი ინიციატივით აღდგენილ იქნა სკაღდობის ძველი სახალხო დღესასწაული სოფელ ფაყში (1989წ.). მისივე ძალისხმევით დაარსდა რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ჯოკია მეშველიანი გარდაიცვალა 1994 წლის 13 თებერვალს, 65 წლის ასაკში. იმავე წელს ლენტეხში ჯოკია მეშველიანის სახელობის ფოლკლორის 4-წლიანი სკოლა გაიხსნა, სადაც ბავშვებს დღემდე ასწავლიან საქართველოს ისტორიას და ყველა კუთხის სიმღერებსა და ცეკვებს. სწავლა უფასოა: ფოლკლორის სკოლას ჯოკია მეშველიანის ფონდი აფინანსებს. ჯოკია მეშველიანის შვილები მამისეულ საქმეს ამ ფორმით აგრძელებენ.

*მარინა კვიციანიძე
ეთნომუსკოლოგი*

ქეთევან ნაგერვაძის გახსენება



ქეთევან ნაგერვაძე

ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი – ქეთევან ნაგერვაძე გამოაკლდა. თავს ქეთის უმცროს მეგობრად მივიჩნევდი და მასზე დიდ იმედებს ვამყარებდი.

2016 წლის იანვარში, ქეთევან ნაგერვაძის ტრაგიკულად გარდაცვალების შემდეგ, მისი პედაგოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, პროფესორი თამაზ გაბისონია იგონებდა: „ქეთიმ საკვლევ თემად აჭარული სიმღერების მრავალხმიანობის სტრუქტურა აირჩია. უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური ენის ანალიზს დღეს ახალგაზრდები იშვიათად მიმართავენ სირთულის გამო. მიუხედავად ამისა, არავისთან მქონია იმგვარად ხანგრძლივი და ღრმა მეცნიერული დისპუტი, როგორც ქეთისთან. იშვიათად შემხვედრია ასეთი მეცნიერულად მოაზროვნე ადამიანი, მით უმეტეს, ასაკით ჩემზე პატარა. ამ საუბრებისას ბევრჯერ შემიცვლია პოზიცია ქეთის არგუმენტებული მსჯელობის შედეგად“.

ქეთი ნაგერვაძე 2004 წლის ნოემბერში გავიცანი. იგი გამორჩეულად მიზან-

დასახული და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობის განყოფილება ქეთის დაქინებული მოთხოვნის შედეგად დაფუძნდა. იგი თავის მოწოდებად ეთნომუსიკოლოგობას მიიჩნევდა და თუ ეს სპეციალობა არ იქნებოდა, თავს ანებებდა სწავლას (!). ამ პრობლემის გადაჭრა მე მევალებოდა, როგორც რექტორს. ამიტომ მივმართე სათანადო ინსტანციებს. საქართველოს განათლების, ასევე, კულტურის სამინისტროების მხარდაჭერით დამტკიცდა სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამა; ჩამოყალიბდა ფოლკლორის კაბინეტი; გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ფოლკლორის ცენტრთან. ქეთიმ გააგრძელა სწავლა თბილისიდან სპეციალურად მოწვეული სპეციალისტების (თავიდან, დავით შუღლიაშვილის, შემდეგ, თამაზ გაბისონიას) ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მისი უშუალო თაოსნობით კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა გოგონათა ანსამბლი, რომელსაც მოგვიანებით „აიდიო“ ეწოდა. ანსამბლი 2005 წლიდან წარმატებით გამოდიოდა „სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალებზე“.

2006 წელს ქეთევან ნაგერვაძემ იმდენად მნიშვნელოვანი სადიპლომო ნაშრომი წარმოადგინა (ხელ-ლი პროფ. თამაზ გაბისონია), რომ თბილისის კონსერვატორიიდან მოწვეულმა კომისიის თავმჯდომარემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფ. რუსუდან წურწუმიამ მას შემდგომი სამეცნიერო კვლევის თბილისის კონსერვატორიაში გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ ქეთი ვერ წავიდა ბათუმიდან, რადგან ავადმყოფი დედა ჰყავდა მოსავლელი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, უმცროსი ძმის გამზრდელი გახდა.

ბათუმის კონსერვატორიაში რამდენიმე წლის განმავლობაში ქეთევან ნაგერვაძე უძღვებოდა ხალხური შემოქმედებ-

ის კურსის ლექციებს და აგრძელებდა გოგონათა ანსამბლთან მუშაობას. 2008-2009 წლებში ხელმძღვანელობდა ქობულეთის ვაჟთა ანსამბლს. 2008 წელს მან ქედის კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ხარატული“, რომელსაც 2011 წელს „იაგუნდი“ ეწოდა. აღნიშნული ანსამბლი დიდი წარმატებით მართავდა კონცერტებს და აქტიურად მონაწილეობდა „სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალებში“. პარალელურად, ქეთი იყო ფესტივალების ფარგლებში გამართული სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეც.

2014 წელს ბათუმის ტელევიზიაში ქეთევან ნაგერვაძის პროექტი „ეთნოფორი“ დაიწყო. მის გარდაცვალებამდე ეთერში გავიდა 14 გადაცემა, რომლებიც, გარდა მხატვრული ღირსებისა, გამსჭვალული იყო მშობლიური აჭარული ფოლკლორის უადრესად ღრმა ცოდნითა და დიდი სიყვარულით. აღსანიშნავია, რომ გადაცემას დღემდე ერთგულად აგრძელებენ ქეთის მეგობრები.

ქეთევან ნაგერვაძემ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რომ მეგობრებისა და კოლეგებისთვის დაუვიწყარი იქნება მისი ნათელი ხსოვნა.

ქეთევან გოგოლაძე
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის
ემერიტუს პროფესორი*

ქართული ხალხური მუსიკის უცხოელი შემსრულებლები

ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ნიავი“ აშშ-დან

ანსამბლი „ნიავი“ ვაშინგტონში მოღვაწეობს და ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს. ეს ერთადერთი ვოკალური ჯგუფია ვაშინგტონის რეგიონში, რომელიც მხოლოდ ქართულ ტრადიციულ რეპერტუარს ასრულებს. „ნიავი“ 2009 წელს შეიქმნა, ამჟამად მასში 10 მოქმედი წევრია: ანდრეა დიი ჰარისი (დამაარსებელი), თარა ბაჰრამპური, ნიკა ჭავჭავანიძე, სილვიო ებერჰარდტი, სიუ ფარბმანი, მაია პოლი, ან ჰარისონი, ბეტსი პლატი, მანანა სუხარევა და ელინ ზურბრიგი. გასულ წლებში ანსამბლში მრავალი სხვა მომღერალი მღეროდა, თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდება მობილურ ურბანულ მოსახლეობაში, ბევრმა მათგანმა საცხოვრებელი შეიცვალა და ბუნებრივად ჩამოშორდა ანსამბლს.



ანსამბლ „ნიავის“ ლოგო

ანსამბლის რეპეტიციები მისი დამაარსებლისა და ამჟამინდელი ხელმძღვანელის, ანრეა დიი ჰარისის სახლში ტარდება ვაშინგტონის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში. „ნიავი“ სიმღერებს ძირითადად ზეპირი გზით სწავლობს, მისი წევრები რიგ-რიგობით ასწავლიან სხვებს იმ ნიმუშებს, რომლებიც ჯერ თავად ისწავლეს სხვა მომღერლებისგან, ჯგუფებისგან ან ჩანაწერებიდან. „ნიავი“ მხო-

ლოდ ქართულ რეპერტუარს, საქართველოს ყველა რეგიონის ნიმუშებსა და საგანგებოდ შერჩეულ საგალობლებს ასრულებს. ანსამბლი მონაწილეობდა ვაშინგტონის ფოლკლორულ ფესტივალზე გლენ ექო პარკში, ტაკომა პარკის ფოლკლორულ ფესტივალში, ვაშინგტონის რაიონში გამართულ ფესტივალ „ჩვენებურებში“, საქართველოს ამერიკელი მეგობრების სხვადასხვა კერძო ღონისძიებასა და საქართველოს საელჩოს მიერ გამართულ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.



ანდრეა დიდი პარისი

„ნიავის“ ჰქონდა პატივი მასტერკლასების ფორმატით ემუშავა მოწვეულ ქართველ მომღერლებთან და ანსამბლებთან: დავით შულღიაშვილთან და ანჩისხატის გუნდის სხვა წევრებთან, მალხაზ ერქვანიძესთან და ანსამბლ „სახიობასთან“, ტრიოსთან „შალვა ჩემო“ და სხვ. ჯგუფი, ასევე, მონაწილეობდა და მასპინძლობდა კარლ ლინიქსა და ტრიო „კაკეასიას“, ფრანკ კეინის, ჯონ გრემის, ჯონ უურდემანისა და ქეთევან მინდორაშვილის მასტერ-კლასებს, ამის წყალობით „ნიავმა“ უკეთესად შეისწავლა ქართული ვოკალური ტრადიციები, რომელიც ასე უყვარს და ასე აფასებს. 2016 წლის ზაფხულში „ნიავის“ წევრთა პატარა ჯგუფი გეგმავს საქართველოში მოგზაურობას, რათა შეისწავლოს სიმღერები ფილფანების ოჯახში სოფელ ლენჯერში.

„ნიავის“ რეპეტიციებზე ერთმანეთს სიმღერებს მთელი გულითა და სულით ვუზიარებთ, ისევე, როგორც საჭმელსა და სასმელს, არსებითად, თითოეული რეპეტიცია მინი სუფრას წარმოადგენს. ძალიან ხშირად მისი ნაწილი, ასევე, არის ერთი-ორი ბოთლი ქართული ღვინო! ამგვარად, მაგიდასთან მღერის ტრადიცია, ღვინისა და სიმღერის შეზავება ვაშინგტონშიც ცოცხლობს და თავს კარგად გრძნობს.

„ნიავის“ წევრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან (არქიტექტორი, ბიბლიოთეკარი, ურბანული დაგეგმარების სპეციალისტი, ინჟინერი, ბიოლოგი, უფროსი მზარეული, ჟურნალისტი, საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების სპეციალისტი და ა.შ.). ჯგუფს აერთიანებს საქართველოს, მისი კულტურისა და განსაკუთრებული ვოკალური ტრადიციების დიდი სიყვარული. მისი წევრების უმრავლესობა ამერიკაში დაიბადა და ყველა ამერიკელი წევრი რამდენიმე წელი ცხოვრობდა, ან ბევრჯერ ყოფილა საქართველოში სხვადასხვა მიზეზით. ანსამბლის მხოლოდ სამი წევრი დაიბადა და გაიზარდა საქართველოში. თითოეულ ჩვენგანს აქვს თავისი ისტორია, როგორ დაიწყო სიმღერა და როგორ აღმოაჩინა ჩვენი საერთო გატაცება – ქართული მუსიკა. რამდენიმეწლიანი ერთად სიმღერის შემდეგ, ჩვენ ყველანი თავს ერთ დიდ ოჯახად მივიჩნევთ, რომელსაც ქართული მრავალხმიანობა აერთიანებს.

როგორ „ვიპოვე“ და შემიყვარდა ქართული მუსიკა? თბილისში პირველად 1970-იანი წლების ბოლოს ვიყავი რუსეთში ენის შემსწავლელი კურსის საგაზაფხულო არდადეგებზე. მაშინ მოვიხიბლე ქალაქით, მისი მუსიკით, ცეკვითა და სამზარეულოთი; მომაჯადოვა მომღერალმა სუფრამ და ისე დამატყვევა ქართულმა მუსიკამ და კულტურამ, რომ მას შემდეგ ის გახდა ჩემი შთაგონების წყარო. ცივი ომის დასრულების შემდეგ საქართველოში რეგულარულად ვბრუნდებოდი, როგორც სამოქალაქო დიპლომატიური ტურის

გიდი სამოქალაქო დიპლომატიური მოძრაობის ფარგლებში, ასევე, ამერიკელებსა და ქართველებს შორის კულტურული გაცვლითი პროგრამებით ბირთვული ომის საშიშროებასთან ბრძოლის ფარგლებში.



ანსამბლი „ნიავი“

თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ჩემთვის „ნიავის“ დაარსება იყო არა მხოლოდ დიდი ხნის ოცნების ასრულება, არამედ ჩემი სულიერი ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობა თბილისიდან (2003-2007 წწ.) ვაშინგტონში დაბრუნების შემდეგ. საქართველოში ცხოვრების დროს ხშირად ვმღეროდი კარლ ლინიქის გუნდში „ოქროს სტუმრები“. ამის შემდეგ მე მხოლოდ ქართული რეპერტუარი მაინტერესებდა – ვიცოდი, რომ ვიპოვე ჩემი მუსიკალური სამშობლო და უკან აღარასდროს მიმიხედავს. ვაშინგტონში დაბრუნებულმა დავიწყე მომღერლების ძებნა მათთან ჩემი ფანტასტიკური მუსიკალური გამოცდილების გასახიარებლად. ამას დასჭირდა რამდენიმე წელი და ქართული მუსიკის სხვა ამერიკელი ენთუზიასტების თანადგომა, რის შედეგადაც 2009 წელს შევქმენი შემეკრიბა მომღერლების საჭირო რაოდენობა და ასე დაიბადა ახალი გუნდი!

ჯგუფის სახელი „ნიავი“ კარლ ლინიქის დახმარებით შევარჩიეთ. ქართული ენის ჩემუელი ცოდნა, ცოტა არ იყოს, შეზღუდული იყო და კარლი დამეხმარა ჩემი იდეებისა და მოფიქრებული

ფრაზების ქართულად თარგმნაში. ვიცოდი, რომ მე მჭირდებოდა ის, რაც მოიცავდა მღერის სიხარულსა და სულიერებას ერთად. აგრეთვე, დანამდვილებით ვიცოდი, რომ ანსამბლის სახელი ქართული სიტყვა ან ფრაზა სასურველი იყო, ყოფილიყო ისეთი, რომელიც ხშირად გვხვდება ქართული ხალხური სიმღერების ტექსტებში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მისი წარმოთქმა ძალიან არ უნდა გასჭირვებოდა ამერიკელს! რამდენიმე ვარიანტის განხილვის შემდეგ, უცებ წარმოვიდგინე ჰაეროვანი და ტკბილი ხმა, ნიავი რომელიც მწუხრის უამს მინდორს დაჰფარფატებდა... სუნთქვის სიმბოლო, ისეთივე, როგორც ქართული სიმღერა. კარლს ვთხოვე სიტყვა „breath“ ქართულად ეთარგმნა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

1970-იანი წლების ბოლოს იელის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი; პირველად სწორედ იქ მოვისმინე და შემეძვარდა ქართული მუსიკა... ვმღეროდი იელის უნივერსიტეტის ქალთა რუსულ გუნდში. ჩვენი გუნდი, რომელსაც იელის სლავური გუნდი ერქვა, ძირითადად ბალკანურ ხალხურ რეპერტუარს ასრულებდა, ეს „ღებისა“ და „ძმების“ გუნდები რეგულარულად აწყობდნენ შეხვედრებს, სადაც ერთად ვმღეროდით სიმღერებს ერთმანეთის რეპერტუარიდან.

„შენ ხარ ვენახი“ და „წმინდაო ღმერთო“ იყო პირველი ორი ქართული სიმღერა, რომელიც ვისწავლე და ორივე ჩემთვის დღემდე ღრმად სულიერ და ემოციურ დონეზე რჩება. „ნიავმა“ იცის საქართველოს ყველა რეგიონის 50-ზე მეტი ხალხური სიმღერა და საეკლესიო მუსიკის ყველაზე დიდი და ცნობილი სკოლების საგალობელი. ქართული მრავალხმიანობა ძალიან მდიდარია, ყოველთვის მაოცებს ამ სიმღერების ემოციური სიღრმე. დიდი მადლობა საყვარელო საქართველო, შენი უძვირფასესი საჩუქრისთვის!

ანდრეა დიი ჰარისი

„ოდაბადე“



სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ანსამბლების დედაქალაქში ჩამოყალიბებას საფუძველი ჯერ კიდევ წლების წინ ჩაეყარა. ამჟამად თბილისში ასეთი ტიპის რამდენიმე ანსამბლი მოღვაწეობს: რაჭველებით დაკომპლექტებული „ძირიანი“, სვანების „კვირია“, მოხეური ანსამბლი „ჯვარული“ და სხვ. სულ ახლახანს მათ რიგებს ანსამბლი „ოდაბადეც“ შეუერთდა. „ოდაბადეს“ ყველა წევრი წარმოშობით მეგრელია და ძირითადად, სწორედ მეგრულ სიმღერებს ასრულებენ. არსებობის მცირე დროის მიუხედავად, ანსამბლს რამდენიმე წარმატებული გამოსვლა ჰქონდა დედაქალაქსა და რეგიონებში. გუნდის ჩამოყალიბების ისტორიაზე, რეპერტუარსა და სამომავლო გეგმებზე მის ხელმძღვანელს, ზაზა ბაჩილაავას ვაუწყებთ:

– მოგვიყევით ანსამბლის ჩამოყალიბების ისტორია: როდის და რატომ დაიბადა კიდევ ერთი ახალი ფოლკლორული ანსამბლის დაარსების იდეა?

– ხალხური სიმღერის შესრულება საკმაოდ გვიან, სკოლის დამთავრების პერიოდში დავიწყე. იმ დროიდან მოყოლებული, გამიჩნდა სურვილი, რომ საკუთარი ფოლკლორული ანსამბლი მყოლოდა. დედაქალაქში არსებული ფოლკლორული ჯგუფები მეტ-ნაკლებად ყველა კუთხის

სიმღერებს ასრულებდნენ, თუმცა მეგრულ სიმღერას, მათ რეპერტუარში, მაინც ნაკლები ყურადღება ექცეოდა. სწორედ ამიტომ გამიჩნდა აზრი, რომ ჩამომყალიბებინა ანსამბლი, რომელიც ძირითადად, მეგრული სიმღერების შესრულებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ანსამბლის შექმნის მცდელობა გვქონდა 3-4 წლის წინაც, თუმცა – უშედეგოდ. საბოლოოდ, ჩემი ინიციატივითა და ჩემი მეგობრების მხარდაჭერით, ამ იდეის განხორციელება 2015 წელს შევძელით.

– რა პრინციპით მოხდა ანსამბლის წევრების შერჩევა? ვინ არიან ისინი და რას საქმიანობენ?

– ანსამბლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე შევიკრიბეთ რამდენიმე მეგობარი, რომელთაც ერთად მღერის გარკვეული გამოცდილება გვქონდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენი ძალები ანსამბლისათვის საკმარისი არ იყო; სწორედ ამიტომ დავიწყეთ წევრების შერჩევა. შერჩევის პროცესში ვხელმძღვანელობდი ორი მთავარი პრინციპით: კარგ მომღერალთან ერთად, ანსამბლის მომავალი წევრი აუცილებლად გამორჩეული პიროვნება და კარგი მეგობარიც უნდა ყოფილიყო. ამჟამად ანსამბლ „ოდაბადეში“ ათი წევრია: ლევან იოსავა, ტარიელ ვაჩაძე, გიორგი ხვიჩია, გიორგი ქვილითაია, დავით ხორავა, ილია ხვიჩია, ლადო შონია, აკაკი კუპრავა, ბართლომე ბალათურია და საბა ხვიჩია. ანსამბლის წევრების უმეტესობა მომღერლები არიან და, ამავდროულად, თბილისის სხვადასხვა ტაძრებში გალობენ. რამდენიმე მათგანი გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია და ლოტ-ბარ-რეგენტის პროფესიას ეუფლება; დანარჩენები, ძირითადად, სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებული. ბიჭების დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, რეპეტიციებს ძირითადად საღამომობით ვატარებთ. ანსამბლის წევრების მონდობა და ენთუზიაზმი მე, როგორც ხელმძღ-

ვანელს, დიდ სტიმულს მაძლევს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში გვქონდა სარეპეტიციო სივრცე, თუმცა ამჟამად, ჩემს ოჯახში ვიკრიბებით. აქვე მინდა მაღლობა გადავუხადო მამა მიქაელ ბუკიას და მამა დავით ჭანტურიას, რომელთაც შემოგვთავაზეს სარეპეტიციო ფართი. ვფიქრობთ, ეს პრობლემა მაღე მოგვარდება.



ანსამბლი „ოდაბადე“

– რას ნიშნავს „ოდაბადე“ და რატომ გადაწყვიტეთ ანსამბლისათვის ამ სახელის დარქმევა?

– ანსამბლის სახელის შერჩევაზე საკმაოდ ბევრი ვიფიქრეთ. ამ პროცესს ერთგვარი დავა-კამათის სახეც ჰქონდა. თავდაპირველად, ანსამბლისათვის „ოდაბადეს“ დარქმევის იდეა, ჩემი ინიციატივა იყო. მოგვიანებით განვიხილეთ სხვა ვარიანტებიც: დასახელდა „ხარება“, „ბედინერა“ და სხვ. აღმოჩნდა, რომ ამ სახელწოდების ფოლკლორული ანსამბლები უკვე არსებობდა. საბოლოოდ, მაინც თავდაპირველ ვერსიაზე შევჩერდით. „ოდაბადე“ მეგრული სიტყვაა და ქართულად დაბადების ადგილს, სამშობლოს ნიშნავს. ჩვენი ანსამბლის ყველა წევრი სამეგრელოდან არის, ანუ თითოეულის ოდაბადე – სამეგრელოშია. ალბათ, სწორედ ამიტომ, ეს სახელი ყველასათვის ძალიან ახლობელი და მშობლიურია. ოდაბადე ის ად-

გილია, სადაც შენი ახლობელი ადამიანები ცხოვრობენ და რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარს. ეს სახელი ჩვენმა მსმენელმაც გაითავისა და შეიყვარა.

– რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი? მხოლოდ ერთი კუთხის ფოლკლორული ნიმუშებით იფარგლებით თუ სხვა სიმღერებსაც ასრულებთ?

– ჩვენს რეპერტუარში ძირითადი ადგილი მეგრულ-აფხაზურ სიმღერებს და საეკლესიო საგალობლებს ეთმობა. პრაქტიკულად, ყველა სკოლის ტრადიციულ საგალობლებს ვასრულებთ. პირადად მე, მაგალითად, ძალიან მომწონს ფილიმონ ქორიძის საგალობლები; რაც შეეხება სხვა კუთხის ნიმუშებს, მათ, რასაკვირველია, ჩვენს რეპერტუარში გარკვეული ადგილი ეთმობა, თუმცა – არა ძირითადი. ვცდილობთ, მრავალფეროვნებისათვის საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა შევასრულოთ. ამით ამ კუთხეებისადმი ჩვენს პატივისცემასა და სიყვარულს გამოვხატავთ. თუმცა, მაინც მიგვაჩნია, რომ ყველაზე კარგად, ჩვენი წარმომავლობიდან გამომდინარე, სწორედ მეგრული სიმღერების შესრულება გვემარჯვება.

– რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს და როგორ მუშაობთ მათზე?

– ჩვენი რეპერტუარი ძირითადად ძველი ჩანაწერებიდან საზრდოობს. რა თქმა უნდა, ცალკეულ შეთხვევებში, მივმართავთ სანოტო ვერსიებსაც. იმ სიმღერებზე მუშაობისას, რომელთა აუდიოჩანაწერიც არსებობს და სანოტოც, ორივე წყაროს ვიხმართ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიმღერებს ძველი ჩანაწერებიდან ვსწავლობთ, თუმცა, მათ ზუსტ კოპირებას არ ვახდენთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანსამბლის თითოეულ წევრს გათავისებული ჰქონდეს ის სიმღერა, რომელსაც იგი ასრულებს და თავისებურად, ინდივიდუალურად გადმოსცემდეს.

რაც შეეხება სიმღერებზე მუშაობას, ეს ანსამბლში საკმაოდ შემოქმედებითი და საყვარელი პროცესია. უშუალოდ რეპეტიციას მე ვხელმძღვანელობ, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა წევრი აქტიურად არის ამ პროცესში ჩართული. ახალი სიმღერის მოტანისას, ყოველთვის ვეკითხები აზრს ანსამბლის წევრებს: რამდენად მოსწონთ სიმღერა და სურთ თუ არა მისი შესრულება. ამის შემდეგ ვანაწილებთ ხმებს. შემსრულებლებს მაქსიმალურ თავისუფლებას ვაძლევ, ზედმეტად არც შესრულების მანერაში ვერევი. როგორც თავად მოირგებენ, ისე მღერიან ამა თუ იმ სიმღერას. ხშირად სიმღერის შესწავლის ინიციატივა ანსამბლის წევრების მხრიდან მოდის, რაც ძალიან მახარებს... როგორც ვახსენე, რამდენიმე წევრი ლოტბარის პროფესიას ეუფლება და მათთვის ანსამბლთან მუშაობის პროცესი, ძალიან კარგი პრაქტიკაა. ყველაზე მთავარი კი, ალბათ, იმ სიმღერებისა და იმ საქმის სიყვარულია, რაც ჩვენ ყველას გვაერთიანებს.

– თქვენი აზრით, რა არის ის განსაკუთრებული ნიშანი, რაც გამოარჩევს ანსამბლ „ოდაბადეს“ სხვა დანარჩენი ფოლკლორული ჯგუფებისაგან?

– ჩვენი ანსამბლი სულ ერთი წელია, რაც არსებობს, შესაბამისად, გამიჭირდება ამ კითხვაზე გიპასუხოთ. თუმცა, ალბათ, მაინც ყველა ანსამბლს გააჩნია რაღაც განმასხვავებელი ნიშანი, რითაც ის დანარჩენებისაგან გამოირჩევა. ჩვენ მეგრული სიმღერების შესრულებაზე ორიენტირებული ანსამბლი ვართ და ვფიქრობთ, რომ ყველაზე კარგად, სხვა კუთხეებთან შედარებით, სწორედ მეგრული სიმღერების შესრულება გამოგვდის. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კახელზე უკეთესად კახურ სიმღერას ვერავინ იმღერებს, ისევე, როგორც, გურულზე უკეთესად – გურულს და ა.შ. როგორც იცით, მეგრულ სიმღერას განსაკუთრებული სიტკბო, ლირიზმი ახასიათებს. ჩე-

მი აზრით, ანსამბლი „ოდაბადე“ სწორედ სიმღერების შესრულების ამგვარი, ლირიკული მანერით არის გამორჩეული.



ანსამბლი „ოდაბადეს“ ერთ-ერთი პირველი გამოსვლა

– რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა ანსამბლი? მონაწილეობთ თუ არა კონცერტებსა და სხვა ღონისძიებებში?

– ანსამბლი ახლახანს ჩამოვაყალიბეთ, შესაბამისად, ჯერ არ გექონია ბევრ ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოსვლა: პირველ რიგში, უნდა ვახსენო სოლო კონცერტი, რომელიც ანსამბლის ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვეში, ქალაქ ფოთში გაიმართა. ეს იყო ჩვენი გუნდის ერთგვარი პრეზენტაცია. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ანსამბლი პირდაპირ სოლო კონცერტით გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე; მსმენელის წინაშე პირველ გამოსვლას წინ ხანგრძლივი და შრომატევადი რეპეტიციები უძღოდა. მიუხედავად ამისა, კონცერტის წინ მაინც ძალიან ვვლავდით. შეიძლება ითქვას, რომ გავრისკეთ და ეს რისკი წარმატებული აღმოჩნდა. ამით ანსამბლის წევრებს ძალიან დიდი სტიმული მოგვეცა. შემდეგ იყო რამდენიმე საქველმოქმედო საღამო: მათგან გამოყოფილი სამეგრელოს ტელევიზია „კოლხეთის“ პრეზენტაციისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელიც თბილი-

სის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. საღამოში, სამეგრელოს სხვა ფოლკლორული ანსამბლების გვერდით, ჩვენი გუნდიც მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე გამოსვლა დიდი პატივი და კარგი პრაქტიკა იყო ჩვენთვის. გარდა ამისა, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწვევით, მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ხობში გამართულ ცოტნე აღმსარებლისადმი მიძღვნილ დღესასწაულ „ცოტნეობაზე“. აუცილებლად უნდა გითხრათ იმ ტრადიციის შესახებაც, რომელიც ანსამბლში დავამკვიდრეთ: „ოდაბადეს“ წევრთა ინიციატივით, პერიოდულად ვატარებთ შეკვეთილ წირვებს. მსახურებებს ვატარებთ დედაქალაქის სხვადასხვა ტაძრებში: როგორც მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად, აგრეთვე – ანსამბლის კეთილდღეობისათვის. ძირითადად ისეთ ტაძრებს ვარჩევთ, სადაც მგალობლები არ ჰყავთ. წირვებზე ანსამბლის წევრები ერთად ვგალობთ და ამ ფორმით, ერთგვარად, ქართული ტრადიციული გალობის პოპულარიზაციასაც ვცდილობთ.

– რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

– 2016 წლიდან მუშაობა დავიწყეთ განახლებულ რეპერტუარზე. მოვიძიეთ მეგრული სიმღერების შედარებით იშვიათი და ნაკლებადცნობილი ვარიანტები, რომელთა აღდგენასაც ვაპირებთ. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ჩავწეროთ და გამოვცეთ ორდისკიანი აუდიოალბომი. პირველ დისკში შევა ჩვენ მიერ აღდგენილი ძველი, მეგრული სიმღერების შედარებით უცნობი ვარიანტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ანსამბლის უპირველესი მიზანია. რაც შეეხება მეორე დისკს, მასში შევა შედარებით პოპულარული და ხალხისათვის ცნობილი და საყვარელი სიმღერები. პირველი დისკი უფრო ვიწრო სამეცნიერო წრეებსა და პროფესიონალებს დააინტერესებთ, მეორე კი – შედარებით ფართო მასებზე იქნება გათვლილი. დისკში აუცილებლად შევიტანთ საეკლესიო საგალობლებსაც. ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ეს ალბომი ყველა ტიპის მსმენელს დააკმაყოფილებს. ალბომის გამოცემის შემდეგ ვგეგმავთ მის პრეზენტაციასა და სოლო კონცერტს დედაქალაქში. პარალელურად, ძალიან გვინდა კონცერტების ჩატარება სამეგრელოს რამდენიმე რაიონში.

– წარმატებებს გისურვებთ!

*ინტერვიუ ჩაიწერა ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტმა
სოფო კოტრიკაძემ*

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი

ოჯახური დუეტი კანადიდან

ცოტა ხნის წინ თბილისში რამდენიმე დღით იმყოფებოდა ორი მუსიკოსი, რომლებიც ქართული ფოლკლორის შემსრულებლებთან შეხვედრითა და ფოლკლორული ნიმუშების ძველი ვარიანტების ჩაწერით იყვნენ დაინტერესებული. უკრაინული ხალხური სიმღერების გასაოცარი შესრულების შემდეგ, რომლებიც მათ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მოგვასმენინეს, სურვილი გაგვიჩნდა, ჩვენი მკითხველისთვისაც გაგვეცნო მარკ და მარიკა მარჟუკების (Marczuk) საოჯახო დუეტი.



მარკ და მარიკა მარჟუკები

მარკისა და მარიკას ოჯახურ დუეტს მეტად საინტერესო შექმნის ისტორია აქვს. მათ ერთმანეთი 2014 წლის კიევის რევოლუციის დროს მაიდანზე გაიცნეს.

მარკი უკრაინული წარმოშობის კანადელია, მომღერალი და მევიოლინე, ცნობილი კანადური ფოლკ-პანკ ჯგუფის Lemon Bucket Orkestra-ს ხელმძღვანელი. ეს ჯგუფი სხვადასხვა ეროვნების 15-მდე მუსიკოსისგან შედგება, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ტრადიციულ მუსიკას ასრულებენ.

მარიკა უკრაინელი ეთნომუსიკოლოგი და მომღერალია, რომელმაც თავის

ქვეყანაში დააარსა ფოლკლორული ჯგუფი „ბოჟინი“. ეს ჯგუფი მღეროდა მაიდანის სცენაზე 2014 წელს დაღუპული უკრაინელების ხსოვნის პატივსაცემად. მარკი ამ დროს ჩამოვიდა უკრაინაში, რომ ეპოვა და ჩაეწერა უკრაინული ხალხური მუსიკის შემსრულებლები კანადური ფილმისათვის უკრაინის შიმშილობის შესახებ.

ასე გაიცნეს მარკმა და მარიკამ ერთმანეთი და ერთად გადაიტანეს 2014-15 წლის ტრაგიკული ზამთარი. გაზაფხულზე მათ გადაწყვიტეს შეექმნათ ერთობლივი, ექსპერიმენტული მუსიკალური პროექტი უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად. პროექტის შინაარსი ასეთი იყო: სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები – კანადელები, მექსიკელები, ფრანგები, რუმინელები, უკრაინელები უნდა შეკრებილიყვნენ და 2 თვის მანძილზე გასტროლები ჩაეტარებინათ უკრაინის სხვადასხვა ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე, შეესრულებინათ სიმღერები ომსა და რევოლუციასზე სხვადასხვა ენაზე.

პროექტი, სახელწოდებით Lem-onchiki Project, წარმატებული აღმოჩნდა.

ნახევარი წლის შემდეგ მარკი კვლავ ჩამოვიდა უკრაინაში და მარიკასთან ერთად იყო ფრონტის ხაზზე, მოიარა პოსპიტალები, სადაც ერთად უმღეროდნენ ხალხურ სიმღერებს მებრძოლ და დაჭრილ ჯარისკაცებს.

პარალელურად, მათ გაუჩნდათ ფოლკ-ოპერის შექმნის იდეა სახელწოდებით Counting Sheeps უკრაინის რევოლუციისა და ომის თემაზე. პირველი დადგმა განხორციელდა კანადაში, ტორონტოში მარკის მუსიკალური ჯგუფის Lemon Bucket orkestra-ს მონაწილეობით.

ოპერა ძველი უკრაინული ხალხური სიმღერების საფუძველზეა შექმნილი, რომლებიც მარიკას ჯგუფმა „ბოჟინიმ“ ჩაიწერა. მასში არ არის მეტყველება, არის მხოლოდ სიმღერები, ვიდეოები YouTube-დან და უკრაინული ტრადიციული კერძები, რომლითაც მონაწილეები უმასპინძლდებიან მსმენელს. ეს იყო ინ-

ტერაქტიული ოპერა, რომელშიც მსმენელი იქცეოდა არა უბრალოდ რევიოლუციური მოვლენების მონაწილედ, არამედ შეიგრძნობდა უკრაინული ტრადიციული პოლიფონიის ძალას.

წელს იგეგმება ამ ფოლკ-ოპერის წარმოდგენა მსოფლიოს ყველაზე ცნობილ თეატრალურ ფესტივალებზე.

ამჟამად მარკი და მარიკა ტორონტოში ცხოვრობენ. 2015 წლის გაზაფხულზე მათ მოაწვევეს სახალხო ქორწილი, რომელზე დასწრება შეეძლო ყველა მსურველს. ეს იყო არა უბრალოდ ქორწილი, არამედ ხალხური კულტურის ფესტივალი, რომელზეც სრულდებოდა უკრაინული, ბელორუსული, ქართული, ბრაზილიური და მრავალი სხვა ქვეყნის ტრადიციული სიმღერები და საქორწილო წესჩვეულებები. ტრადიციული ქართული ფოლკლორი წარმოადგინა ტრიო „ზარმა“, რომელიც კანადაში მოღვაწეობს.

მარკი და მარიკა აქტიურად აგრძელებენ ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას ჯგუფ Lemon Bucket Orkestra-სთან ერთად, რომელიც განუწყვეტლივ მოგზაურობს მსოფლიოს მასშტაბით.

პარალელურად, მარკმა და მარიკამ კანადაში დააფუძნეს ორგანიზაცია Ukrop, რომელიც ყოველკვირეულად აწყობს უკრაინული კულტურის სადამოებს და მასტერკლასებს ტრადიციული სიმღერების, ცეკვებისა და ხელსაქმის შესასწავლად.



Lemon Bucket orkestra

მარკისა და მარიკას დუეტი მონაწილეობს სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალში. ისინი მუშაობენ ახალ ვიზუალურ-მუსიკალურ-ლიტერატურულ პროექტზე blaklava blues, რომელშიც გაერთიანდება ხალხური და ექსპერიმენტული მუსიკა.

მარიკა მარჟუკი



ოჯახური დუეტი

თამარ მამალაძე
(1908-1972)



ქართველი ისტორიკოს-ეთნოგრაფი, მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი თამარ მამალაძე დაიბადა თბილისში 1908 წელს. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან იგი მუშაობდა ჯერ მუსიკის მასწავლებლად, შემდეგ მუსიკალურ გადაცემათა რედაქტორად საქართველოს რადიოკომიტეტში; უფრო გვიან კი – ფოლკლორის განყოფილების გამგედ საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში. 1950 წლიდან გარდაცვალებამდე თ. მამალაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი. 22 წლის მანძილზე იგი მთელი მონდომებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. თ. მამალაძე იყო არაერთი საინტერესო და ნაყოფიერი საველე ექსპედიციის ხელმძღვანელი. მას ჩაწერილი აქვს ქართული ხალხური სიმღერების სხვადასხვა ჟანრისათვის მრავალი ნიმუში, რომელთაგან ბევრი მანამდე უცნობი და დიდი სამეცნიერო ღირებულებისაა. თავის საველე მუშაობაში თ. მამალაძე ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მეთოდ-

ით, რაც კომპლექსურ-ისტორიულ მიდგომას გულისხმობს. ამანაც განაპირობა მისი წარმატება ქართული ხალხური ყოფის განყოფილი მოვლენის – მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის საქმეში.

სწორედ თამარ მამალაძის დამსახურებაა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას მოეპოვება მდიდარი ფონოარქივი, სადაც ინახება ქართული მუსიკალური ფოლკლორის მკვლევართა მიერ ფონოგრაფის ლილვაკებსა თუ მაგნიტოფონის ფირებზე ჩაწერილი მასალა. გარდა საველე შემკრებლობითი მუშაობისა, მკვლევარი ეწეოდა მოპოვებული მასალის კამერალურ დამუშავებასაც.

თ. მამალაძეს ეკუთვნის ქართული მუსიკალური ფოლკლორის არსებით საკითხებზე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა ერთ-ერთი უძველესი ჟანრის – შრომის სიმღერების მიმართ. ამ საკითხს მიუძღვნა მან მონოგრაფია „შრომის სიმღერები კახეთში“ (1963), რომელმაც ავტორს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოუპოვა. თ. მამალაძის კვლევის სფეროში შედიოდა, აგრეთვე, ქართული საწესო სიმღერები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომი, რომელიც მან სიმღერებს „ჭონასა“ და „ნანას“ მიუძღვნა.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი თ. მამალაძის ეთნომუსიკოლოგიური დამოკიდებულება საკვლევი მუსიკალური ნიმუშებისადმი. მის კვლევებში ჩანს ინტერესი არა მუსიკალური ქსოვილის მშრალი ანალიზისადმი, არამედ იმ ყოფის, სოციალური გარემოს მიმართაც, რომელშიც ესა თუ ის ნიმუში შეიქმნა და სრულდებოდა.

სიცოცხლის ბოლო წლები თ. მამალაძემ საქართველოს ცალკეული მუსიკალური დიალექტების საფუძვლიან შესწავლას მიუძღვნა. მან შეისწავლა სვანური,

იმერული, გურული, აჭარული დიალექტების თავისებურებები, თუმცა, სამწუხაროდ, მეტი არ დასცალდა.

თ. მამალაძე სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების აქტიური მონაწილე იყო; კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე.

თ. მამალაძემ დაგვიტოვა შესანიშნავი მასალები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ დასამუშავებელი და გამოსაქვეყნებელია.

მანანა შილაკაძე
ჟურნალი „მაცნე“. №1, 1972წ.

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ

ინტერვიუ ზოე პერესთან



ზოე პერე

ჩვენი რუბრიკის სტუმრად შევარჩიეთ ადამიანი, რომელიც უცხო ქვეყნების კულტურის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინტერესმა საქართველოში ჩამოიყვანა. ეს გახლავთ ახალგაზრდა ფრანგი მუსიკოსი – ზოე პერე, რომელიც უკვე 10 წელია თბილისში ცხოვრობს და ქართველებზე არანაკლებ უყვარს საქართველო. ჩვენ შევთავაზეთ მას, თავად ესაუბრა ამის შესახებ.

გამარჯობა, მე ვარ ზოე პერე. წარმოშობით ფრანგი. ბოლო 10 წელია უკვე

საქართველოში ვცხოვრობ და ისეთი განცდა მაქვს, რომ მეორე სამშობლო შევიძინე. დავიბადე სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ პოში, სადაც დღემდე ცხოვრობს ჩემი 88 წლის ბებია. ამ ზაფხულს თბილისში ჩამოსვლას აპირებს და ძალიან მიხარია, ახლოს უნდა გავაცნო საქართველო.

პატარაობიდან მამა ფრანგულ სიმღერებს მიმღეროდა. საერთოდ, ჩემი ოჯახის წევრებს უყვართ მუსიკა და მეც 5 წლიდან მუსიკალურ სკოლაში მიმიყვანეს. ვუკრავდი ვიოლინოზე, ვმღეროდი საბავშვო ოპერაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად გადავედი პარიზში, სადაც დავამთავრე, როგორც კონსერვატორია მუსიკის თეორიის განხრით, ასევე, სორბონას უნივერსიტეტი ეთნომუსიკოლოგიის განხრით. მუსიკა, ჩემდა საბედნიეროდ, პროფესიასთან ერთად, არის ჩემი ჰობი. გარდა მუსიკისა, ძალიან მიყვარს ცეკვა. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, აქტიურად ვეუფლებოდი თანამედროვე ბალეტს.

საქართველო

ქართული კულტურის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მქონდა მიღებული ეთნომუსიკოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში. პირველად კი ქართველები საფრანგეთში გავიცანი, კავკასიური კულტურის ფესტივალზე. ესენი იყვნენ: შოთა იათაშვილი, მალხაზ ხარბედია და ჯგუფი „სტუმარი“, რომლის წევრებმა იმხელა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, რომ ერთ თვეში ჩამოვედი საქართველოში საცხოვრებლად.

თავიდან, ერთი წელი მოხალისედ ვმუშაობდი, რომლის დროსაც მივხვდი, რომ აქ უნდა დავრჩენილიყავი. ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა და თვითონ ხალხი. ქართველებს გააჩნიათ ძლიერი კულტურული იდენტობა, რომელიც

ძალიან სპეციფიურია და ინდივიდუალური.

ჩემთვის განსაკუთრებულად მიმზიდველია საქართველოს მცირე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მრავალფეროვნება. ვფიქრობ, რომ ქართული ფოლკლორი არ არის მხოლოდ სიმღერა, ეს არის განსხვავებული და ძვირფასი ურთიერთობების დამყარების ფორმა, რომელიც საოცარი ერთიანობის განცდას ბადებს ადამიანებში.

საქართველოში ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა საქმიანობას ვეწეოდი: ვმუშაობდი სკოლაში ფრანგულის მასწავლებლად, ასევე, წითელი ჯვრის ორგანიზაციაში... 2 წლის წინ გავხსენი კაფე-ბარი „ზოესთან“, სადაც პერიოდულად იმართება ხოლმე მუსიკალური საღამოები, მათ შორის, ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტები. ცოტა ხნის წინ შევეურთდი მაგლობელ-მომღერალ გოგონათა გუნდ „იალონს“. სულ ვოცნებობდი, მემღერა ქართულ ანსამბლში და ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ანსამბლის წევრი გავხდი, რომელშიც შესანიშნავი მომღერლები არიან თავმოყრილი.



ზოე პერე ანსამბლ „იალონთან“ ერთად

გარდა ამისა, ვიღებ კერძო გაკვეთილებს ქართველი ეთნომუსიკოლოგებისგან, ზაფხულობით კი საფრანგეთიდან ჩამომყავს მუსიკით დაინტერესებული ადამიანები ქართული ხალხური სიმღერების შესასწავლად.

ჩემი გატაცებაა მოგზაურობა. ძალიან მიყვარს ხელუხლებელი ბუნება და სოფელში მცხოვრები სტუმართმოყვარე ხალხი. საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მაქვს მოვლილი, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო სოფელ მერისში (მთიანი აჭარა, ქედის რაიონი) მცხოვრები თურმანიძეების მომღერალი ოჯახი, რომლებსაც ხშირად ვსტუმრობ ხოლმე და უკვე ახლო მეგობრებად ვთვლი. მათთან უცხოელ მომღერალთა რამდენიმე ჯგუფიც ჩავიყვანე სიმღერების შესასწავლად.

სამომავლოდ მინდა, უკეთ გავეცნო ქართულ ხალხურ სიმღერას, ჩამოვაყალიბო საკუთარი გუნდი და შევიქმნა ისეთი ცხოვრებისეული პირობები, რომ მეტი დრო დამრჩეს მუსიკისათვის. ვაპირებ დოკუმენტური ფილმების გადაღებას ქართველებისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების მუსიკალურ ტრადიციებზე. ამისათვის ვეუფლები ფოტოგრაფიისა და ვიდეოგადაღების ხელოვნებას.

*ტმკსც-ის სახელით მადლობას ვუხდით
ქ-ნ ზოეს და წარმატებებს ვუსურვებთ!*

ერთი ტელეპროექტის შესახებ

„ეთნოფორი“

2014 წლის ნოემბერში აჭარის ტელევიზიამ დაიწყო გადაცემათა ციკლი სახელწოდებით „ეთნოფორი“. მას შემდეგ ეს გადაცემები უწყვეტ რეჟიმში გადის ეთერში ყოველ ოთხშაბათს და ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია აჭარის ტელეარხზე. ეს არის ეროვნული პროექტი, რომელიც ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციას ემსახურება. გადამღები ჯგუფი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეძებს ხალხური მუსიკის ტრადიციულ შემსრულებლებს და იწერს მათ, შემდეგ კი მოკლემეტრაჟიანი ფილმის სახით აწვდის მაყურებელს. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ გადაცემა „ეთნოფორის“ წამყვანი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის, ბათუმის კულტურის ცენტრისა და ანსამბლ „ფერიცვალების“ მენეჯერი მიხეილ გაბაიძე მოგვითხრობს.



მიხეილ გაბაიძე

– ეთნოფორი წარსული კულტურის მატარებელი ადამიანია, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, ხასიათით, ძველი ყოფითი წეს-ჩვეულებებითა თუ თვითშემოქმედებით წარმოადგენს ეთნიკურ სახეს, ანუ არის გარკვეული ეთნიკური თვისებების მატარებელი. დღეს, ტექნიკური პროგ-

რესის ეპოქაში, ასეთი პიროვნება იშვიათი მოვლენაა, მით უფრო, თუ საქმე ეხება თვითშემოქმედებას. მასობრივი ტელერადიო კომუნიკაციის გავლენით ხალხური თვითშემოქმედება ფაქტობრივად აღარ არსებობს და იგი, სწორედ, ეთნოფორთა მეხსიერებაშია დაღეჭილი და მათთან ერთად აგრძელებს სიცოცხლეს.

– როგორ გაჩნდა გადაცემის შექმნის იდეა?

– ტელევიზიაში დამიძახეს და მკითხეს, თუ რას ვიტყვოდი, რომ ყოფილიყო გადაცემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული ტრადიციული სიმღერების მოძიებას, გადაღებას და ისე შეფუთვას, რომ საყურებლად მიმზიდველი ყოფილიყო. გადაცემის მთავარი არსი იყო შეგვექმნა ეთნოფორების მიერ შესრულებული სიმღერების შესაბამისი ყოფითი სიტუაცია, ანუ ეს სიმღერები მათთვის ჩვეულ სოციალურ გარემოში გადაგველო.

– რას იტყვით შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ?

– საბედნიეროდ, შევიკრიბეთ ადამიანები, ვისაც ძალიან კარგად გვესმოდა ერთმანეთის და, ღვთის წყალობით, დაბრკოლებების გარეშე დავიწყეთ მუშაობა. მე ძალიან მინდა, რომ შემოქმედებითი ჯგუფის წევრთა სახელებიც იყოს ცნობილი მკითხველისა თუ მაყურებლისთვის. ესენი არიან: რეჟისორები მამუკა ჩხიკვაძე და გიორგი ბერიძე და მონტაჟის რეჟისორი გიორგი მურვანიძე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩვენი მძღოლი, მერაბ ჭანიძე, რომელიც, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხო მგზავრობას, ჩართულია გადაღების მთელ პროცესში.

– როგორც ვიცი, გადაცემის ერთ-ერთი ავტორი ქეთევან ნაგერვაძე იყო.

– ქეთევან ნაგერვაძესთან თანამშრომლობას დიდი სიხარულით შევხვდი, რადგან,

მოგეხსენებათ, მე პროფესიით არც ეთნო-მუსიკოლოგი ვარ და არც ჟურნალისტი. ქეთი კი პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგი იყო, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროება იყო ამ გადაცემისთვის.

– რა ბედი ეწია გადაცემას ქეთევან ნაგერვაძის გარდაცვალების შემდეგ?

– ქეთიმ ჩვენთან ერთად იმუშავა 15 გადაცემაზე. შემოქმედებითი ჯგუფის სასახელოდ ვიტყვი, რომ ჩვენ არ შეგვიწყევტია მუშაობა მას შემდეგაც კი, რაც ქეთის ავტოკატასტროფის შედეგად დაემართა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, დაობლებულებმა გავაგრძელეთ გადაღებები და დღემდე არ „ჩავვიგდია“ არც ერთი კვირა. ჩვენს არქივში უკვე 60-ზე მეტი გადაცემაა!

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ქეთის გარდაცვალების შემდეგ ბევრი ადამიანი დამიდგა გვერდით, რომ გადაცემა გაგრძელებულიყო და მაღალი პროფესიული დონე შეენახუნებინა. მათ შორის ყველაზე ერთგული გულშემატკივარი ნანა ვალიშვილი იყო, რომელიც სრულიად უანგაროდ მენხმარებოდა: მაწვდიდა კონტაქტებსა და სხვადასხვა საჭირო ინფორმაციას, რაც მენხმარებოდა გადაცემის მომზადებაში.

– რომელი რეგიონები „დაიპყართ“ ამ ორი წლის მანძილზე?

– პირველ რიგში, დავასახელებ აჭარას, შემდეგ, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭის, კახეთის, მესხეთის სხვადასხვა სოფლებს და ბოლოს, თბილისს.

– როგორი რეზონანსი აქვს „ეთნოფორს“ და თუ მიაღწიეთ რამე შედეგს საზოგადოების მხრიდან ფოლკლორით დაინტერესების თვალსაზრისით?

– აჭარის ტელევიზია პერიოდულად ატარებს კვლევას და „ეთნოფორი“ თითქმის ყოველთვის რეიტინგული გადაცემების რიცხვში ხვდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება დაინტერესებულია ტრადიციული მუსიკით. სწორედ ამან განაპირობა პროექტის დარჩენა სატელევიზიო ბადეში. ვიმედოვნებთ, რომ ასე გაგრძელდება დიდხანს.

რაც შეეხება გამოსხმარებას, ფეისბუქზე არის უამრავი გამოსხმარება და სამადლობელი წერილი. პირადადაც მაქვს მიღებული ძალიან ბევრი, რისთვისაც მადლობას ვუხდი ყველას.

აღსანიშნავია, რომ „ეთნოფორში“ მონაწილეობის შემდეგ უამრავმა ჯგუფმა დაიწყო ინტენსიური მუშაობა რეპერტუარის გასამდიდრებლად. იყო შემთხვევა, როცა ხელფასიც კი მოუმატეს ზოგიერთ ჯგუფს; ვისაც არ ჰქონდა, დამფინანსებელი გამოუჩნდა, სასცენო სამოსი შეუკერეს და ა.შ. გარდა ამისა, გადაცემას გაუჩნდა ისეთი მაყურებელი, რომელმაც „ეთნოფორის“ წყალობით გაიგო, რა არის ნამდვილი ფოლკლორი.

– როგორც ვიცი, „ეთნოფორს“ აქვს საკუთარი ინტერნეტ-გვერდი. კიდევ სად შეიძლება ვუყუროთ ამ გადაცემას?

– გადაცემები გადის თუ არა ეთერში, მაშინვე იტვირთება ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე:

<https://www.facebook.com/profile.php?id=100005376558699&fref=ts>,

ასევე:

https://www.youtube.com/results?search_query=%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98.

ყველა დაინტერესებულ ადამიანს აქვს საშუალება, ნახოს და ჩამოტვირთოს კიდევ ყველა გადაცემის ფოტო მასალაც იტვირთება ფეისბუქ გვერდზე.

– როგორია სამომავლო გეგმები?

– ჯერ-ჯერობით ხელშეკრულება წლის ბოლომდე გვაქვს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, შემდეგაც გაგეძღვება. დაგეგმილი გვაქვს მოგზაურობა ზემო რაჭაში, ზემო სვანეთში, თიანეთში, ქედაში, გურიაში, ქართლში, კახეთში... და არის კიდევ ერთი კუთხე, რომელიც ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ესაა შავშეთი და იმედი მაქვს, მალე იქიდანაც მოგესალმებით.

– ტმესც-ის სახელით წარმატებებს ვუსურვებ „ეთნოფორს“!

ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ

სალამური

1938 წელს ქალაქ მცხეთაში, კერძოდ, სამთავროში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ძველ სამარხებში ნაპოვნი იქნა გედის წვივის ძვლისგან დამზადებული პატარა, უენო, სამთვლიანი სალამური, რომელიც ძვ.წ.აღ-ის XV-XIV საუკუნეებით დათარიღდა. ამ მუსიკალური საკრავის ხნიერება თავად მეტყველებს ქართველთა განვითარებულ მუსიკალურ აზროვნებაზე ჯერ კიდევ სამიათასი წლის წინ.



გედის წვივისგან დამზადებული უენო სალამური

ამჟამად საქართველოში სალამურის ორი სახეობა არსებობს: უენო (სტვირი) და ენიანი. სალამურის ენას უწოდებენ ლერწმის პატარა, თხელ ფირფიტას, 12-15 მმ სიგრძის სასტვენისებრ საცობს, რომელიც საკრავის ყელშია მოთავსებული და შემსრულებელს ჩაბერვას უადვილებს. უენო სალამური ჭერმის ხისგან მზადდება, ენიანი კი – ლერწმისგან ან დიდგულასგან. ამ უკანასკნელის დამზადება ბევრად რთულია, ვიდრე უენოსი.

უენო სალამური წარმოადგენს დაახლოებით 38-40 სმ სიგრძის მილს, რომელზეც 5-6 თვალი (ნახვრეტი) კეთდება. ზოგჯერ თვალი კეთდება უკანა მხარეზეც. საკრავის თავი ოდნავ წაწვეტილებულია.

ენიანი სალამური უენოზე მოკლეა – 23-26 სმ სიგრძისაა. თავი წაკვეთილი აქვს. ამოჭრილია 6 ან 7 თვალი (თუმცა, გვხვდება 5 თვლიანიც). ერთი თვალი უკ-

ეთდება უკანა მხრიდან I-II თვლებს შორის.



ენიანი სალამური

უენო სალამურის დიაპაზონი სექტიმამდეა, ენიან სალამურზე კი გადაბერვით აიღება ოქტავით მაღალი ბგერები. შესაბამისად, მისი დიაპაზონი ორ ოქტავამდეა.

დაკვრის დროს სალამური უჭირავთ ორივე ხელით, პირდაპირ, ოდნავ დაქანებული. ბგერის წარმოება ხდება ჩაბერვით, ბგერის სიმაღლის ცვლა კი – თითების თვლებზე დაჭერით. ტემბრი ჩაბერვის ძალაზეა დამოკიდებული. ნორმალური ჩაბერვით სალამური მშვიდად, ნაზად ჟღერს, ხოლო გადაბერვის დროს – ხმამაღალი და მსტვინავი ბგერები გამოიციმა. ჩაბერვა ხდება საკრავის თავზე გაკეთებულ ნახვრეტში.

უენო სალამურზე ხმის გამოცემა შემსრულებლისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. იგი კარგად უნდა ახდენდეს სუნთქვის რეგულაციას, რომ ბგერების გადამბმულ ჟღერადობას მიაღწიოს. ენიან სალამურზე ჩაბერვის პროცესი გაადვილებულია ენის არსებობის გამო.

უენო და ენიანი სალამურების თვლებს შორის მანძილი დაკანონებულია. ენიან სალამურზე თვლები ენის ჩადგმის შემდეგ იჭრება.

სალამური გაგრძელებულია აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში: ქართლში, კახეთში, მესხეთში, თუშეთში, ფშავში.

სალამურზე მხოლოდ მამაკაცები უკრავენ. ის მწვემსების აუცილებელი ატრიბუტია. სამთავროს სამარხში ნაპოვნი ძვლის სალამურიც პატარა ბიჭის გვერდით ესვენა, რომელიც სავარაუდოდ, მწვემსი იყო.

უენო სალამურზე მხოლოდ მწვემსური მელოდიები სრულდება. განსაკუთრებით საინტერესოა შალვა ასლანიშვილის მიერ ჩაწერილი „ვაცების გაქეჩვა“ (გაქეჩვა გარეკვას ნიშნავს). არსებობდა ცხვრების მოსაგროვებელი, დასაბინავებელი და სხვა მელოდიებიც. სალამურზე უკრავდა მწვემსი, რომელიც წინ მიუძღოდა ფარას, დანარჩენი მწვემსები ცხვარს ადევნებდნენ თვალყურს. სალამურზე მწვემსები ღამითაც უკრავდნენ, რითაც თავს იფხიზლებდნენ და ირთობდნენ.

ენიან სალამურს ტექნიკურად ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე უენოს, ამიტომ მასზე მრავალფეროვანი საცეკვაო მელოდიებიც სრულდება. საფიქრებელია, რომ ენიანი სალამური უენოზე გვიან შეიქმნა. ამაზე მიუთითებს არამარტო უენო სალამურის ტექნიკური დაუსხვეწავობა, არამედ ისიც, რომ სალამურის ძირითადი დანიშნულება – მწვემსურ ყოფასთან კავშირი (რაც უძველესი დროიდან მომდინარეობს) სწორედ უენო ნაირსახეობას შემორჩა დღემდე.

ენიან სალამურს ხშირად იყენებენ ტრადიციულ ინსტრუმენტულ ანსამბლებშიც დოლთან ან ფანდურთან ერთად.

საქართველოში გავრცელებული იყო მრავალფეროვანი სალამურიც, რომელიც, ასევე, მწვემსური ყოფის განუყოფელი ნაწილი ყოფილა. თუმცა, ასეთი საკრავი მხოლოდ ორ კუთხეშია შემონახული – სამეგრელოში *ლარჭემის* სახელწოდებით და გურიაში – *სოინარის*. მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არის. მეგრული ლარჭემი ზომით შედარებით პატარაა, ვიდრე გურული სოინარი.



ლარჭემ-სოინარი

მრავალღერძიანი სალამური შედგება ლერწმის ექვსი სხვადასხვა სიგრძის მქონე ღეროსაგან, რომლებიც განლაგებულია მტკიცედ დაკანონებული წესით – ცენტრში გრძელი ღეროები, მათგან მარჯვნივ და მარცხნივ სიგრძის მიხედვით – დანარჩენები. ბგერათრივი არის ორიგინალური, ფაქტობრივად უნიკალური, აგებული ტონ-ნახევარტონიანი ინტერვალების თანმიმდევრობაზე.

ლარჭემსა და სოინარზე დაკვრის მანერის თავისებურებას წარმოადგენს ორ მეზობელ ღეროში ერთდროულად ჩაბერვა, რაც უზრუნველყოფს ორხმიანი თანაბგერადობების მიღებას და, შესაბამისად, ორხმიანი ჰანგების შესრულებას.

ამ საკრავზე სრულდება მწყემსური და საცეკვაო მელოდიები. არსებობდა ჯოგის საძოვარზე გაყვანის, საქონლის მწყემსვის, ჯოგის შინ დაბრუნების დროს შესასრულებელი ჰანგები.

მრავალღერძიანი სალამურს ხმამაღალი, გამოკვეთილი, მსტვინავი ტემბრი აქვს, ამიტომ მას სასიგნალო ფუნქციაც ჰქონია ერთმანეთისაგან შორ მანძილზე მყოფი მონადირეებისთვის.

ცნობილი იყო დაკვრის თავისებური ხერხი, ე. წ. „ნირზი“ – საკრავის გაყოფა ორ შემსრულებელს შორის და დუეტად შესრულება.

ლარჭემისა და სოინარის მელოდიების სახით შემონახულია უადრესი ვარიაციული ფორმა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მრავალღერძიანი სალამურის შექმნა მრავალხმიანი აზროვნების განვითარებას უკავშირდება. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ლარჭემ-სოინარის ღერების სახელწოდებები სამეგრელოსა და გურიაში გავრცელებულ ხმათა სახელწოდებებს იმეორებს.

სამწუხაროდ, დღეს მრავალღერძიანი სალამურზე აღარავინ უკრავს, ის სამუზეუმო ექსპონატად იქცა.

*მასალა აღებულია მ. შილაკაძის
წიგნიდან: ქართული ხალხური
საკრავები და საკრავიერი მუსიკა.
თბილისი, 1970.*

ადღგომის დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციები საქართველოში



ნინო კალანდაძე-მასხარაძე

პირველ საუკუნეში ქრისტეს მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა დასავლეთ საქართველოში იქადაგეს ახალი სარწმუნოება. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართველები ამ დღესასწაულს ყოველთვის გამორჩეულად აღნიშნავდნენ. ურიცხვი მტრის თარეშმა ვერ შეცვალა ერის დამოკიდებულება იესოს ადღგომის მიმართ.

ადღგომის დღესასწაულიდან ორმოცი დღის მანძილზე მორწმუნენი „ქრისტე აღდგა“-თი ვესალმებით ერთმანეთს, რაზე პასუხად „ჭეშმარიტად“! გაისმის. მართლმადიდებლურ ტაძარში ბრწყინვალე ადღგომიდან ამალეობამდე – ორმოცი დღის განმავლობაში უღერს საადღგომო გალობა. ჩვენი წინაპრებისა და გალობის მოამეგეთა რუდუნებით შემოგვრჩა სადღესასწაულო წირვის წესის რამდენიმე ნიმუში, რომელთა შორისაა: „ქრისტე აღდგა“, „ადღგომასა შენსა“, „ადღგომისა დღე არს“ და „ადღგომა ქრისტესი“. საბედნიეროდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამკალობლო სკოლებმა მათი განსხვავებული ვარიანტებიც შემოგვინახეს.

ადღგომის დღესასწაულს უკავშირდება, აგრეთვე, საერო საადღგომო წეს-ჩვეულება – ჭონა. მეკლევრები ჭონს –

ტყავის, ბეწვეულის, ქუდის, ტანსაცმლის მკერავს უკავშირებენ და გადაცმის, ნიღბების მინიშნებად მიიჩნევენ (ქართული ენის დიალექტებში ეს სიტყვა ბეწვის, ტყავისა და თავსაბურავის მკეთებელს ნიშნავს). მეჭონეები მასპინძლებს ვერ უნდა ეცნოთ. ამიტომაც ისინი გადაცმულები და დათხუპნულები დადიოდნენ ხოლმე. მართალია, სიტყვა ჭონა თანამედროვე ქართულ მეტყველებაში გამქრალია, მაგრამ ამ რიტუალის, მისი თანმხლები სიმღერის სახელწოდებაში და ერთ-ერთ გვარში (ჭონიშვილი) მაინც შემოგვრჩა. რადგანაც მეჭონენი – „ჭონას“ მომღერლები ტყავ-ბეწვეულით ადღგომაზეც იმოსებოდნენ და შობაზეც, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ჭონა“ საშობაო და საადღგომო სიმღერების საერთო სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

დღეისათვის ხელთ გვაქვს ჭონაობის რიტუალთან დაკავშირებული ქართლური, იმერული, მესხური, რაჭული და მთიულურ-გუდამაყრული ეთნოგრაფიული მასალა. „ჭონას“ სახელით ცნობილი სასიმღერო ნიმუში კი ჯერჯერობით მხოლოდ ქართლსა და იმერეთშია ჩაწერილი. თუმცა, საადღგომო ტრადიციას უკავშირდება აგრეთვე, იმერული საფერხულო „კრიალესო“, მეგრული „კრიალესა“ და რაჭული საფერხულო „ქრისტე აღდგა“.

ჭონაზე სიარული, წესით, წითელ პარასკევს იწყებოდა, თუმცა ზოგან ვნების კვირის ორშაბათიდან ადღგომამდე დადიოდნენ. ტყავებში გამოწყობილი 7-8 მამაკაცი, ზოგიერთი გადმოცემით, ქალებიც და ბავშვებიც, ჩამოივლიდნენ კარდაკარ, ოჯახს დღესასწაულს ახარებდნენ და სიმღერით მიულოცავდნენ:

სახლო, სალხინოდ ნაშენო,
ვინ დაგიდო მუხის გული?
ამშენებლის მამა ცხონდა,
შიგა მდგომის დედის სული!
ალათასა-ბალათასა
ჩამოვკიდებ კალათასა,
დელი კვერცხი გამოვკიტა,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა...

მასპინძლები მათ სურსათით ასაჩუქრებდნენ. ზოგჯერ მეჭონეებსა და მასპინძლებს შორის დიალოგიც იმართებოდა. კარსმომდგარ სტუმრებს დამხედურნი საპასუხო შაირს შეაგებებდნენ, „შეესიტყვებოდნენ“; შესაძლოა, ფერხულიც შეესრულებინათ, დაეკრათ სალამურზე, გაემართათ ჭიდაობა, ცეკვა-თამაში და სხვა. სტუმრების ხელცარიელი გაშვება ცუდის ნიშანი იყო. იმ ეზოში, საიდანაც კვერცხს არ გამოიტანდნენ, მეჭონეები ქორის ბუმბულს ტოვებდნენ. ამ ქმედებით ხელმომჭირნე მასპინძლის წიწილები მტაცებლის კერძად უნდა ქცეულიყო.

რაჭასა და იმერეთში ჭონას ანალოგიური საადღგომო სიმღერა „ქრისტე აღდგა, გიხაროდენ“ ყოფილა. მეჭონეები თბილისშიც დადიოდნენ. XX საუკუნის დასაწყისის „ივერიის“ ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ ქართულ კილოზე საჭონაო საგალობელი რუსულით შეცვალესო. ანუ ამ დღეს ტრადიციული საჭონაოს ნაცვლად იგალობებოდა ტროპარი „განათლდი, განათლდი“ რუსულ ენაზე და ისიც დამახინჯებულად.

არსებობს ცნობები, რომ „ჭონამდე“, იმავე დროს (გაზაფხულზე), ერთი კვირის მანძილზე სრულდებოდა სიმღერა „მხიარული გაზაფხული“, რომელსაც თან გარკვეული რიტუალიც ახლდა. მთხრობელთა გადმოცემით, ამ სიმღერას ძველ დროს „ჭონას“ მნიშვნელობა ჰქონდა, ოღონდ იგი წინ უსწრებდა ჭონას რიტუალს.

„მხიარული გაზაფხულის“ მომღერლები, მეჭონეების მსგავსად, მთელ სოფელს შემოუვლიდნენ, მაგრამ კვერცხების ნაცვლად გასათხოვარი ქალის ხელით დამზადებულ, თუნდაც სულ წვრილმან ნივთს ან მცირეოდენ ნობათს აგროვებდნენ. საპატარძლოს საჩუქარი უნდა მიეცა ყველა ჯგუფისთვის, რამდენიც კი მასთან მივიდოდა. რიტუალის მონაწილეების ოჯახში მისვლა და მიმღერება იმისი ნიშანი ყოფილა, რომ ქალი მზად იყო მომავალი დაოჯახებისა და ბედნიერებისათვის. ამავე დროს, „მხიარული გაზა-

ფხულის“ სიმღერა გაზაფხულის დადგომის ხარებაც იყო. ელენე ვირსალაძე და გიორგი სვანიძე „მხიარული გაზაფხულისა“ და „ჭონას“ სიტყვიერ ტექსტებს წინაქრისტიანულ დღეობათა ციკლს უკავშირებენ და მათში ვარდობის დღესასწაულის კვალს ხედავენ („ჭონა, ჭონა, ვარდის კონა“!, „ჰოი, ჭონაო, ჭონაო, შეკრულო ვარდის კონაო“!).

ეთნოლოგ ნინო ღამბაშიძეს „მხიარული გაზაფხულის“ გამოძახილად მიაჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოკლორის არქივში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც, ახალგაზრდა ბიჭები, პატარა ბავშვები და ხნიერი კაცები აღდგომამდე ორი კვირით ადრე იკრიბებოდნენ, ძველ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს ჩაიცმევდნენ, ზოგი თავზე მეცხვარის ფაფახს (მატყლის ქუდს) დაიხურავდა, ზოგი ჭრელ ნაჭერს იკრავდა თავზე ან წინდას გადაიცვამდა და ამგვარად გამოწყობილები დადიოდნენ კარდაკარ, სოფლიდან სოფელში. ამ სიარულის მიზანი ძირითადად გართობა და წინასადღესასწაულო დღეების ღვინით გატარება იყო, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დიდმარხვის ბოლო კვირის მკაცრ სამარხვო განწყობას. მხიარულება კი სწორედ „მხიარული გაზაფხულის“ მსვლელობის მონაწილეთა სულისკვეთების ამსახველია, რომლებიც სოფლის შუაგულში ძველ ტაშტებზე, სათლებზე იწყებდნენ დაკვრას, თან მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ამის შემდეგ ყველა მოსახლესთან მივიდოდნენ და იმღერებდნენ.

ამ სასიმღერო ნიმუშების („მხიარული გაზაფხულის“, „ჭონას“ და „ქრისტე აღდგა, გიხაროდეს“) სიტყვიერი ტექსტების განხილვა-შეჯერება ააშკარავებს, ერთი მხრივ, საგაზაფხულო დღესასწაულების წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ ფენებს და, მეორე მხრივ, მათ კავშირს ბუნების აღორძინების, ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ ბერიკაობა-ყვენობის დღესასწაულთან და საშობაო „აღილოსთანაც“.

ქართველ მეცნიერებს, ასევე, მართებულად აქვთ აღნიშნული ჭონას, მხიარ-

რული გაზაფხულის, ყვენობა-ბერიკაობის, ალილოს რიტუალების მსგავსება. როგორც ცნობილია, ყველა მათგანი კარდაკარ ჩამოვლით სრულდებოდა. მსგავსია მილოცვა-მიმღერება, სანოვაგის (განსაკუთრებით კვერცხის) შეგროვება, რიტუალების მონაწილეთა სამოსი და საბოლოო მიზანი – გაჭირვებულთა დახმარება და პურობა.

ქრისტეს ჯვარცმის შემდგომ დამკვიდრებულმა აზროვნებამ ქრისტიანული არსით აავსო ზემოთ ნახსენები რიტუალები: ქრისტეშობის განუყოფელი საზეიმო მსვლელობა „ალილო“ მაცხოვრის შობის ხარების ევანგელური ამბის წარმოსახვად მოგვევლინა, ხოლო „ჭონა“ კი – მისი აღდგომისა. რაც შეეხება ბერიკაობა-ყვენობას, მასზე ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ ვერ იმოქმედა და დღესასწაულმა დიდმარხვის წინა, მოსამზადებელ პერიოდში – ყველიერში გადაინაცვლა.

ნინო ღამბაშიძე წერს, რომ „მხიარულ გაზაფხულს“ თავისი სპეციფიკური დანიშნულება და მიზანმიმართულება ჰქონდა. თუ გავიხსენებთ, რომ რიტუალში ქალის დაოჯახების, მომავალი მეუღლის მოლოდინის, სასიძოსთვის ვარდის სურნელოვანი ნობათის გამზადება და ვარდის სახით წარმოდგენილი ყვავილთა თემა იკვეთება, ის, უდავოდ, საყოველთაოდ ცნობილი დედამიწის, ქალის, ქალური საწყისის აღორძინების წინაქრისტიანული დღესასწაული უნდა ყოფილიყო.

აღდგომის სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ საზეიმო განწყობა ეკლესიიდან გარეთ გადიოდა და ტაძრის ეზოში გრძელდებოდა. ზემო იმერეთსა და რაჭაში შემორჩენილ სადღესასწაულო ფერხულში ყველა ერთად ებმებოდა – ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. ზოგჯერ ფერხული ორ მწკრივად ან ორ სართულად სრულდებოდა. ამ უკანასკნელში კი მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ.

ნინო კალანდაძე-მახარაძე

ეთნომუსიკოლოგი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

ჭონა (ქართლი)

ვანო მჭედლიშვილის ანსამბლის ვარიანტი.
ნოტებზე გადაიღო თამაზ გაბისონიაშ

ჭონა, შე - და,

The first system of musical notation for 'ჭონა' consists of three staves. The top staff is a vocal line in G major with a key signature of one flat (F major) and a common time signature. It begins with a long note on G4, followed by a melodic line. The lyrics 'ჭონა,' and 'შე - და,' are written below the notes. A triplet of eighth notes is marked with a '3' above it. The middle and bottom staves are empty.

ჭონა, ჭონა,

The second system of musical notation consists of three staves. The top staff is empty. The middle staff continues the vocal line with the lyrics 'ჭონა,' and 'ჭონა,'. The bottom staff contains a bass line with a few notes and rests.

დე - დი ჭო - ნას მო - გა - ხსე - ნებ, თუ ა - რა ხარ მგლო - ვი - ა - რე,

The third system of musical notation consists of three staves. The top staff is empty. The middle staff continues the vocal line with the lyrics 'დე - დი ჭო - ნას მო - გა - ხსე - ნებ, თუ ა - რა ხარ მგლო - ვი - ა - რე,'. The bottom staff contains a bass line with a few notes and rests.

მა - ლალ - მა ღმერ - თმა გი - ცო - ცხლოს

The fourth system of musical notation consists of three staves. The top staff is empty. The middle staff continues the vocal line with the lyrics 'მა - ლალ - მა ღმერ - თმა გი - ცო - ცხლოს'. The bottom staff contains a bass line with a few notes and rests.

მაგ ა - კვან - ში მწო - ლი - ა - რე,

The fifth system of musical notation consists of three staves. The top staff is empty. The middle staff continues the vocal line with the lyrics 'მაგ ა - კვან - ში მწო - ლი - ა - რე,'. The bottom staff contains a bass line with a few notes and rests.

This system contains three staves. The top staff is the vocal line with lyrics: "შაგ, შა, შა, შა, შა, შა, შა,". The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line and a fermata.

This system contains three staves. The top staff is the vocal line with lyrics: "შა, შა, შაგ,". The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line and a fermata.

This system contains three staves. The top staff is the vocal line with lyrics: "შა, შა, შა, შო, შო - ა". The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line and a fermata.

This system contains three staves. The top staff is the vocal line with lyrics: "შა, შო, შო - ა,". The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line and a fermata. The word "დასასრული" (The End) is written above the final note of the vocal line.

This system contains three staves. The top staff is the vocal line with lyrics: "შაგ, შაგ, შაგ." The middle staff is the right-hand piano accompaniment, and the bottom staff is the left-hand piano accompaniment. The system concludes with a double bar line and a fermata.

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2016

eISSN 1512 – 228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,
გრიბოედოვის ქ. №8/10

ტელ: (+995 32) 2998953 ფაქსი: (+995 32) 2987187

E mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2016 წლის დეკემბერში